საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL
AFFAIRS OF GEORGIA

KA030179829516617

საქართველო, თბილისი 0159, აკ.წერეთლის გამზ. 144. ტელ.: (+995 32) 251 00 11, ფაქსი:(+995 32) 251 00 19, ცხელი ხაზი:(+995 32) 251 00 33, 15 05, ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge

144 Ak.Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 251 00 11; Fax:(+995 32) 251 00 19;Hot line:(+995 32) 251 00 33; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/38965 **16 / ივნისი / 2017 წ.**

შპს „საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრის"
გენერალურ დირექტორს
ქალბატონ ირინე ქაროსანიძეს

20. 06 2017
1-03/11

ქალბატონო ირინე,

ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტში განხილული იქნა სსიპ - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოდან შემოსული თქვენი 2017 წლის 21 აპრილის №40589 განცხადება, რომელიც შეეხება „ფსიქიკური ჯანმრთელობა" სახელმწიფო პროგრამის კრიზისული ინტერვენციის ქვეკომპონენტის ფარგლებში, სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლის მიერ პაციენტებისათვის მედიკამენტების მიწოდების საკითხს.

აღნიშნულის თაობაზე გაცნობებთ, რომ სამედიცინო საქმიანობის განხორციელებისას, პაციენტის მკურნალობის პროცესში (არა მარტო სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში), სამედიცინო დაწესებულების მიერ ამბულატორიულ ან სტაციონარულ პირობებში ფარმაცევტული პროდუქტის გამოყენება/პაციენტისათვის მიწოდება, სამედიცინო მომსახურების ნაწილია, შესაბამისად, მოქმედი კანონმდებლობით აღნიშნული საქმიანობის განსახორციელებისათვის სამედიცინო დაწესებულებისათვის დამატებითი/სპეციალური პირობები დადგენილი არ არის.

რაც შეეხება ფარმაცევტული პროდუქტის საბითუმო შესყიდვის საკითხს, გაცნობებთ, რომ „ფარმაცევტული პროდუქტის საბითუმო რეალიზაციის პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის N206 დადგენილების თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე მიმოქცევისთვის საბითუმო რეალიზატორი უფლებამოსილია ფარმაცევტული პროდუქტის რეალიზაცია მოახდინოს ფარმაცევტული პროდუქტის რეალიზაციის უფლების მქონე სხვა პირებზე (აფთიაქებზე), ასევე, სამედიცინო დაწესებულებებზე და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრებზე.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, შპს „საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრი" უფლებამოსილია განახორციელოს ფარმაცევტული პროდუქტის საბითუმო შესყიდვა შესაბამისი უფლების მქონე საბითუმო რეალიზატორისგან, ამასთან, მნიშვნელოვანია, გაუვარგისების თავიდან აცილების მიზნით, ფარმაცევტული პროდუქტი ინახებოდეს ინსტრუქციით გათვალისწინებული შენახვის პირობების დაცვით.

პატივისცემით,

ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის
უფროსი

მარინა დარახველიძე